# საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
# ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
# წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 14 სექტემბერი, 2012 წელი

## გადაწყვეტილება № 3

**,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლისათვის სამაგისტრო პროგრამებზე მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღების წესის შესახებ“ წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 28 მაისის № 3 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ**

,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის” 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის ჰ[29] პუ-ნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52[1]-ე მუხლის მე-8 პუნქტისა და ხელოვნების უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭო გადაწყვიტა:

1. შეტანილ იქნას ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 28 მაისის №3 დადგენილების დანართის მესამე თავის მე-4 და მე-5 პუნქტებში და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

,,4. მაგისტრანტობის კანდიდატთა განცხადებების მიღება სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნი-ერებათა ფაკულტეტებზე გაგრძელდეს 2012 წლის 03 სექტემბრიდან 25 სექტემბრის ჩათვლით“.

,,5. ხელოვნების უნივერსიტეტში შესარჩევი ტურები და გამოცდები სპეცი-ალობაში ჩატარდეს სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების და განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე 25 სექტემბერიდან 29 სექტემბრის ჩათვლით“.

2. შეტანილ იქნას ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2012 წლის 28 მაისის № 3 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ დანართში და მეორე თავს დაემატოს 6[1] პუნქტი.

,,6[1]. მაგისტრანტობის კანდიდატები, რომლებიც აბარებენ საშემსრულებლო მიმართულებით, პროგრამული დაფინანსების მისაღებად კონკურსზე დაიშვებიან იმ შემთხვევაში, თუ ტურში/ტურებში მიიღებენ 81 და მეტ ქულას“.

3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

**წარმომადგენლობითი საბჭოს**
**სპიკერი** **თ. მეიშვილი**